ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 33

დაბა სტეფანწმინდა 19.04.2018 წელი

ერთის მხრივ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი მერის ალექსანდრე ზაგაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „გლობუსი-ემ-ბე“-ს დირექტორი (შემდგომში“მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მაკა ბეშიძის სახით ,სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1 ხელშეკრულება ,,სახელმიწოფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება,რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია 3(სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი – შემსყიდველს.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს

შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3 ,,დღე“,,,კვირა“ ,,,თვე „ – კალენდარული დღე, კვირა ,თვე.

1.4 „შემსყიდველი“–ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი“–პირი ,რომელიც ასრულებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში

1.6. ,,მომსახურება“ – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოსთვის საკანცელარიო ნივთების შეძენა.

დანაყოფის კოდი:30100000,22800000,22100000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 600 (ექვსას) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანომდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწოორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს საბოლოოდ შესაბამისი საანგარიშწორებო დოკუმენტებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 სამუსაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტს და საანგარიშწორებო დოკუმენტაციას .

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხარისხიანი მომსახურება.

6.მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 15 დღის განმავლობაში.

6.2.მომსახურების გაწევის ადგილია :ქ.თბილისი.დიღმის მასივი, 6 კვარტალი, კორპუსი 18.

7.მხარეთა უბლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია :

ა)შემსყიდველს გაუწიოს ხარისხიანი მომსახურება.

ბ)შემსყიდვალს მომსახურება გაუწიოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა.

8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლი

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს განახორციელებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საფინანსო საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური.

8.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქრთველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში ,თუ დაკისრებული პირგასამტეხლის ჯარიმის თანხა გადააჭარბებს ხელსეკრულების ღირებულების 5 (ხუთ)პროცენტს ,შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელსეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზრაურება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების , მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევევბისა ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2. თუ,ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე .

12.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. .ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიამრთონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხეშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 18 მაისის ჩათვლით.

„შესყიდველი“

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი
მის: დაბა სტეფანწმინდა, ალ.ყაზბეგის N1
ს/კ 241499473

სახელმწიფო ხაზინა

ალექსანრე ზაგაშვილი

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს “გლობუსი ემ-ბე”
მის: ქ.თბილისი,
დიღმის მასივი,6 კვარტალი,
კორპუსი 18.
ს/კ 202446969
სს „საქართველოს ბანკი“
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE72BG0000000193217500

მაკა ბეშიძე